საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 02/1169
29/11/2022

1169-01-2-202211290932

მოქალაქე თამარ სიხარულიძე

მის.: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №114

ელ-ფოსტა: georgianna@gmail.com

ქალბატონო თამარ,

2022 წლის 24 ნოემბრის №01/2125 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მეორე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი ფორმის შესაბამისი განცხადება მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ (შემდგომში – განცხადება).

ამასთან, პროცედურის მეოთხე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, სააგენტო განცხადების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების ფორმალურ შესაბამისობას კანონის, ამ პროცედურის მეორე მუხლითა და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, განცხადება უნდა შეიცავდეს მოვაჭრის დასახელებას (სახელი, გვარი/პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), დასახელება ან/და საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში), მისამართი და არსებობის შემთხვევაში, საკონტაქტო ინფორმაცია), ხოლო თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადებით ვერ დგინდება მოვაჭრის დასახელება ან/და საიდენტიფიკაციო ნომერი და მისამართი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წარმოადგინოთ ინფორმაცია მოვაჭრის დასახელებისა ან/და საიდენტიფიკაციო ნომრისა და მისამართის თაობაზე. აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის

გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი